ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 1

16 ნოემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; რამინა ბერაძე;თემურ გიორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე; დავით უთმელიძე; ირაკლი ნადირაძე; გიორგი გაბაშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სხდომა ატარებს გაცნობით ხასიათს და დღის წესრიგში დგას ერთი საკითხი.

დღის წესრიგი:

1. „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დებულების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის #3-3 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, რომ დებულების შესაბამისად კომისიის წევრებმა უნდა აირჩიონ კომისიის თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში შეასრულებს მის მოვალეობას და შესთავაზა მათ დავით უთმელიძის კანდიდატურა.

კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა დასახელებულ კანდიდატურას.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ მოკლედ ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ანალიზთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სრულყოფილად არ ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც საზოგადოებამ დაუჭირა მხარი. მან კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიები 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს და წარმოადგენენ თავიანთ შენიშვნებს. რის შემდეგაც ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია, წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადების საფუძველზე , რეკომენდაციით მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა